



ქართული უნივერსიტეტის IX პირად-გუნდური ოლიმპიადა
წმიდა ანდრია პირველწოდებულის თასის მოსაპოვებლად
ისტორია - VII კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი _____
სკოლა, კლასი _____
თანაგუნდელის გვარი, სახელი _____
მასწავლებლის გვარი, სახელი _____

I. დავალება - ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი

ინსტრუქცია:

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. უნდა შემოხაზოთ სწორი პასუხი. თითოეული დავალება ერთი (1) ქულით ფასდება.

(1) 1. როდის ჩატარდა საქართველოში დამფუძნებელი კრების არჩევნები?

ა. 1917 წ. ბ. 1918 წ. გ. 1919 წ. დ. 1920 წ.

(1) 2. რამდენი წევრისგან შედგებოდა საქართველოს დამფუძნებელი კრება?

ა. 130 ბ. 150 გ. 180 დ. 250

(1) 3. ვინ ხელმძღვანელობდა სახალხო გვარდიას?

ა. ნოე ჟორდანიას ბ. ნოე რამიშვილი გ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი დ. ვალიკო ჯუღელი

(1) 4. ვის ეკუთვნის ნაშრომი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“?

ა. პაპუნა ორბელიანს ბ. პლატონ იოსელიანს
გ. სეხნია ჩხეიძეს დ. ფარსადან გორგიჯანიძეს

(1) 5. რას ნიშნავს „ჰომოსაპიენსი“?

ა. „დმანისელ ადამიანს“ ბ. „გამართულ ადამიანს“
გ. „გონიერ ადამიანს“ დ. „გამჭრიახ ადამიანს“

(1) 6. რომელი თეორიის ფუძემდებელია ჩარლზ დარვინი?

ა. კრეაციული ბ. ევოლუციური გ. რევილუციური დ. ჰუმანისტური

(1) 7. ვინ გვაწვდის ცნობებს ქართლის სამეფოს სოციალური შემადგენლობის შესახებ?

ა. ჰეროდოტე ბ. კასიუსი გ. სტრაბონი დ. აპიანე

(1) 8. ვინ იყო ქართული ეკლესიის პირველი კათალიკოსი?

ა. პეტრე

ბ. იოანე

გ. მიქაელი

დ. კირიონი I

(1) 9. ვინ მეფობდა ეგრისში „დიდი ომიანობის“ დროს?

ა. გუბაზი

ბ. აიეტი

გ. არისტარქე

დ. ანიკეტი

(1) 10. რომელი მხარეების შემოერთებისას გადაიხდა დავით აღმაშენებელმა ერწუხის ბრძოლა?

ა. კახეთ-ჰერეთის

ბ. ლორე-ტაშირის

გ. ტაო-კლარჯეთის

დ. სამცხე-ჯავახეთის

II დავალება - ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით ქვემოთ ჩამოთვლილი პიროვნებები და მოვლენები შესაბამისი თანმიმდევრობით (უძველესიდან უახლესისაკენ).

პასუხები ჩაწერეთ მოცემულ უჯრებში. იწერება მხოლოდ დასახელებული პიროვნების ან მოვლენის შესაბამისი ციფრი. თითოეული დავალება სამი (3) ქულით ფასდება.

(3) 11. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენები

1. მანასკერტის ბრძოლა

2. სელჩუკთა მიერ ბაღდათის აღება

3. „დიდი თურქობა“

4. ალფ-არსლანის პირველი ლაშქრობა საქართველოში

--	--	--	--

(3) 12. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ ნაპოლეონის დროს მომხდარი მოვლენები

1. აუსტერლიცის ბრძოლა

2. ლაიფციგის ბრძოლა

3. სამხედრო ექსპედიცია ეგვიპტეში

4. ლაშქრობა რუსეთში

--	--	--	--

(3) 13. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ საქართველოს მეფეები მათი მოღვაწეობის მიხედვით

1. გიორგი II

2. ბაგრატ V

3. დავით IV

4. ალექსანდრე I

--	--	--	--

(3) 14. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით შემდეგი მოვლენები უძველესიდან უახლესისაკენ

1. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობა ქართლში

2. ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყება

3. არაბების მიერ „დაცვის სიგელის“ დადება ქართლთან
4. „თავისუფლების დიდი ქარტიის“ მიღება

--	--	--	--

III დავალება - შესაბამისობის პოვნა

ინსტრუქცია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში "X" ნიშანი დასვით სწორი პასუხის ადგილზე. მაგ: თუ თვლით, რომ ასპინძის ბრძოლა გაიმართა 1795 წელს, მაშინ „X“ ნიშანი დასვით "3"-ის და "ა" -ს გადაკვეთაზე. დავალება მაქსიმუმ ოთხი (4) ქულით ფასდება.

(4) 15. იპოვეთ შესაბამისობა

- | | |
|----------------------------------|------------|
| 1. გეორგიევსკის ტრაქტატის დადება | ა) 1795 წ. |
| 2. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადება | ბ) 1770 წ. |
| 3. ასპინძის ბრძოლა | გ) 1782 წ. |
| 4. კრწანისის ბრძოლა | დ) 1783 წ. |
| | ე) 1774 წ. |
| | ვ) 1796 წ. |

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1						
2						
3						
4						

IV. დავალება - შეცდომების აღმოჩენა და გასწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. იპოვეთ დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა (1 ქულა), ისე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულა). ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა. შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა. დავალება მაქსიმუმ თოთხმეტი (14) ქულით ფასდება.

(14) 16. დავით აღმაშენებელი

საქართველოს სამეფო ტახტზე დავით IV 1089 წელს ავიდა. დავითის გამეფების ჟამს უმძიმესი ვითარება იყო შექმნილი საქართველოში. სამეფო ხელისუფლება, ფაქტობრივად, მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. კახეთ-ჰერეთი კვლავ დამოუკიდებლობას იჩემებდა, თბილისი კვლავ მაჰმადიან ამირებს ეპყრათ, ქართლი და სამხრეთ საქართველო კი თურქ-სელჩუკთაგან იყო მრავალგზის აოხრებული. მოსახლეობა იძულებით ტოვებდა თავის საცხოვრებელ ადგილებს და მთაში იხიზნებოდა ან ციხესიმაგრეებს აფარებდა თავს.

დავითმა აზნაურთაგან შექმნა სამხედრო რაზმები, რომლებიც თავს ესხმოდნენ თურქ-სელჩუკებს და ანადგურებდნენ მათ. მეფემ აღადგინა დისციპლინა და წესრიგი ჯარში.

თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლას ხელს უწყობდა მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებაც. 1091 წელს გარდაიცვალა სულთან ალფ-არსლანი და მის მემკვიდრეებს შორის ტახტისათვის სასტიკი ბრძოლა დაიწყო.

1096 წელს საფრანგეთის ქალაქ პარიზში რომის პაპმა ურბან II-მ მოუწოდა ხალხს გაელაშქრათ აღმოსავლეთისაკენ და გაენთავისუფლებინათ ურჯულოთაგან იერუსალიმში ქრისტეს საფლავი. პაპის მოწოდებაზე 1097 წელს ევროპის სხვადასხვა კუთხიდან რაინდები აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ. დაიწყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მსოფლიო ისტორიაში - ჯვაროსნული ლაშქრობები. დავით აღმაშენებელმა ისარგებმა იმით, რომ თურქ-სელჩუკებს მთელი ყურადღება ჯვაროსნებისაკენ ჰქონდათ გადატანილი და მათ ხარკი შეუწყვიტა.

1104 წელს ქვეყნის მომხრე კახელმა დიდებულებმა შეიპყრეს კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე და დავითს მიჰგვარეს. ამის შემდეგ მეფე კახეთ-ჰერეთში გადავიდა და ეს მხარე შემოიერთა. დავით მეფემ თურქ-სელჩუკთაგან გაანთავისუფლა მრავალი ციხე. ამით შემფოთებულმა სელჩუკებმა გადაწყვიტეს სამუდამოდ წელში გაეწყვიტათ საქართველო. სელჩუკთა სარდალმა ილ-ღაზმა კოალიციური ჯარი შეკრიბა. ბრძოლა გაიმართა 1121 წელს დიდგორის ველზე. მტრის სიმრავლის მიუხედავად დავითმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. დიდგორში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ გადაწყდა თბილისის ბედიც. 1123 წელს დავითმა თბილისი გაანთავისუფლა და დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა. დავით აღმაშენებელი 1125 წლის 24 იანვარს (ძველი სტილით) გარდაიცვალა. მეფე გელათის მონასტერში დაკრძალეს.

	არის	უნდა იყოს
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		